# როცა მცველთა შორის არ არის ურთიერთდაზღვევა

ცსკა - “დინამო” (თბილისი) - 4:1.
მოსკოვი. 5 აგვისტო (ტელეფონით).

აქაური სპორტის მოყვარულები განუზომელი ინტერესით ელოდნენ ერთ-ერთი ლიდერის - თბილისის “დინამოს” მატჩს მოსკოველ არმიელებთან. ისინი ღირსეულ მეტოქეთა დაძაბულ და წარმტაც ორთაბრძოლას მოელოდნენ, მაგრამ მაყურებელთა ვარაუდი მხოლოდ პირველმა ნახევარმა გაამართლა, როცა თანასწორთა პაექრობაში თანდათან გამოიკვეთა დინამოელთა საგრძნობი უპირატესობა. და აი, მე-18 წუთზე იამანიძემ მეტრეველის ჩამოწოდებიდან ანგარიში გახსნა.

ეს წარუმატებლობა შოლტივით მოხვდა არმიელებს. მათ უმატეს ტემპს და... თბილისის “დინამოს” მცველები დაიბნენ. სწორედ დინამოელთა დაცვის შეუთანხმებელი და გაუბედავი თამაშის წყალობით არმიელებმა ჯერ გაათანაბრეს ანგარიში (ფედოტოვი), ხოლო შესვენებამდე 5 წუთით ადრე წინაც გავიდნენ (პოლიკარპოვი).

მეორე ნახევრის დასაწყისი წყლის ორი წვეთივით გავდა პირველი ტაიმის ბოლოს. 50-ე და 53-ე წუთებზე კოტრიკაძისა და მცველთა შეცდომებით ჯერ კაზაკოვმა ისარგებლა კარგად, ხოლო შემდეგ ფედოტოვმა მეოთხე ბურთი გაგზავნა “დინამოს” კარში.

ასე, ანგარიშით 4:1 დამთავრდა ემ მატჩი, რომელმაც ერთხელ კიდევ გვიჩვენა დინამოელთა დაცვის მორალურ-ნებელობითი სისუსტე. მატჩის წაგება ძირითადად განაპირობა მცველთა თამაშში ურთიერთდაზღვევის უქონლობამ.

დუბლიორთა მატჩიც არმიელებმა მოიგეს. - 1:0.

“ლელო”, 6 აგვისტო, 1964 წ.